ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N:57

ქ. მცხეთა **30 ნოემბერი, 2017 წელი**

ერთის მხრივ, **შპს „მცხეთის სოფლწყალი“** , შემდგომში „შემსყიდველი“ წარმოდგენილი მისი დირექტორი გივი იორდანიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ქარგილი“ შემდგომში „მიმწოდებელი“ წარმოპდგენილი მისი დირექტორი მერაბ თავართქილაძე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები CPV18100000) (ინვოისი თან ერთვის).

2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 1498 (ათას ოთხას ოთხმოცდათვრამეტი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

3.2 ანგარიშწორება მოხდეს მიღება-ჩაბარების აქტიდან არაუმეტეს 10 დღეში.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:

4.2 საქონლის მიწოდება მოხდეს ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

4.3 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:

4.4 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს–მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს და მიღება-ჩაბარებაზე ხელის მოწერას განახორციელებს შპს „მცხეთის სოფლწყალის" დირექტორი გივი იორდანიშვილი.

12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შპს „ქარგილი"

ს/კ 205257210
ა/ნ GE42TB0547836080100005
სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
მის: ქ.თბილისი, გამრეკელის N:19

ტელ: 2 373384

დირექტორი:

მერაბ თავართქილაძე

შპს „მცხეთის სოფლწყალი"

ს/კ: 436034104
ა/ნ: GE78LB0113162465564000
ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
*მის: ქ.*მცხეთა, აღმაშენებლის N73

ტელ: 2 51 35 88

დირექტორი:

გივი იორდანიშვილი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

2017 წლის 30 ნოემბერი

ქ.მცხეთა

შპს „მცხეთის სოფწყალი"-ს დირექტორი გივი იორდანიშვილი და შპს „ქარგილის"-ს დირექტორი მერაბ თავართქილაძე ვადასტურებთ, **„სამუშაო დანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები"** (CPV181**00000**) შესახებ გამარტივებულ შესყიდვაში (2017 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული N:57 ხელშეკრულება) ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-17 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შემსყიდველი:

შპს „მცხეთის სოფწყალი"-ს დირექტორი:

გივი იორდანიშვილი